პროლეტარებო უფლა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი
№ 277 (11583)

პარასკევი, 27 ნოემბერი, 1959 წ.

ფასი 20 კაპ.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში აღნიშნული და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნები და მიიღოს მათ გარშემო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 26 ნოემბერი, 1959 წ.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების თანახმად მიღებული ცვლილებებით: შემოსავლის ნაწილში 6.436.838 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 6.436.838 ათასი მანეთის ოდენობით, და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1961 წლის 1 იანვრისათვის 180.000 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან სულ 5.703.529 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად—მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის საერთო თანხით 2.619.299 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის—საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის, განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმების, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებებისათვის—სულ 3.468.274 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენახვისათვის—173.817 ათასი მანეთის ოდენობით

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1960 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემდეგი თანხებით: შემოსავალი—5.849.924 ათასი მანეთი, გასავალი 3.925.818 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 1.924.106 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1961 წლის 1 იანვრისათვის 110.934 ათასი მანეთი.

მუხლი 7. დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1960 წლის ბიუჯეტები შემდეგი თანხებით:

(ათას მანეთობით)

	შემოსავალი	მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან	მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	გასავალი	საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1961 წლის 1 იანვრისათვის
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	255.143	192.163	—	255.143	7.628
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	179.409	131.051	—	179.409	5.361
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	78.204	33.883	36.501	78.204	2.322
4. ქალაქი თბილისი	768.353	500.709	—	768.353	15.458
5. ქალაქი ქუთაისი	100.423	57.679	—	100.423	1.994
6. ქალაქი ფოთი	26.417	19.778	—	26.417	775
7. ქალაქი ჭიათურა	34.720	31.001	—	34.720	1.496
8. ქალაქი რუსთავი	37.739	31.701	—	37.739	753
9. ქალაქი გორი	21.444	9.888	—	21.444	424
10. აბაშის რაიონი	12.520	11.166	—	12.520	550
11. ადიგენის რაიონი	10.462	4.145	5.532	10.462	404
12. ამბროლაურის რაიონი	14.942	6.256	7.666	14.942	605
13. ასპინძის რაიონი	9.291	1.241	7.633	9.291	329
14. ახალქალაქის რაიონი	30.272	15.570	12.035	30.272	934
15. ახალციხის რაიონი	27.069	20.089	—	27.069	655
16. ახმეტის რაიონი	14.246	7.768	5.339	14.246	532
17. ბოგდანოვკის რაიონი	13.964	2.776	10.428	13.964	508
18. ბოლნისის რაიონი	16.626	8.998	5.739	16.626	545
19. ბორჯომის რაიონი	19.984	15.905	—	19.984	505
20. გეგეჭკორის რაიონი	27.817	11.950	14.196	27.817	999
21. გორის რაიონი	22.547	20.271	—	22.547	1.001
22. გურჯაანის რაიონი	31.182	24.793	2.889	31.182	799
23. დმანისის რაიონი	15.289	3.405	11.060	15.289	661
24. დუშეთის რაიონი	22.063	4.956	14.574	22.063	736
25. ვანის რაიონი	16.699	6.506	8.289	16.699	659
26. ხესტაფონის რაიონი	23.984	20.795	—	23.984	795
27. ხუდადიის რაიონი	48.631	43.710	—	48.631	1.316
28. თეთრი წყაროს რაიონი	21.142	5.259	13.393	21.142	747
29. თელავის რაიონი	26.979	23.006	—	26.979	746
30. თერჯოლის რაიონი	15.492	5.982	8.257	15.492	505
31. თიანეთის რაიონი	12.236	3.101	8.679	12.236	371
32. ასპის რაიონი	22.404	18.061	—	22.404	702
33. ლაგოდეხის რაიონი	25.213	19.427	—	25.213	766
34. ლანჩხუთის რაიონი	17.411	11.868	—	17.411	617
35. ლენტეხის რაიონი	11.508	1.331	9.910	11.508	303
36. ძაიაკოვსკის რაიონი	12.334	4.660	6.220	12.334	502
37. მარნეულის რაიონი	26.809	24.163	—	26.809	835
38. მახარაძის რაიონი	35.943	25.957	—	35.943	1.080
39. მესტიის რაიონი	12.963	2.160	10.490	12.963	406
40. მცხეთის რაიონი	14.867	11.907	—	14.867	511
41. ონის რაიონი	13.757	4.254	8.778	13.757	467
42. ორჯონიკიძის რაიონი	18.102	4.931	11.523	18.102	628
43. საგარეჯოს რაიონი	18.472	13.112	2.729	18.472	593
44. სამტრედიის რაიონი	22.481	17.045	—	22.481	742
45. საჩხერის რაიონი	14.792	3.695	9.634	14.792	536
46. სიღნაღის რაიონი	20.595	18.055	—	20.595	670
47. ტყიბულის რაიონი	19.722	16.857	—	19.722	573
48. ქარელის რაიონი	17.858	15.462	—	17.858	674
49. ყაზბეგის რაიონი	10.062	1.345	8.303	10.062	268
50. ყვარლის რაიონი	16.319	8.430	6.622	16.319	544
51. ჩოხატაურის რაიონი	21.311	8.870	11.014	21.311	667
52. ჩხოროწყუს რაიონი	13.367	7.954	4.736	13.367	530
53. ცაგერის რაიონი	13.080	7.473	4.537	13.080	489
54. ცხაკაიას რაიონი	25.221	20.998	—	25.221	747
55. წალენჯიხის რაიონი	13.875	11.325	1.027	13.875	536
56. წალკის რაიონი	18.322	5.518	11.670	18.322	765
57. წითელწყაროს რაიონი	17.817	12.553	3.089	17.817	442
58. წულუკიძის რაიონი	21.499	6.920	12.104	21.499	589
59. წყალტუბოს რაიონი	23.933	16.191	3.192	23.933	540
60. ხაშურის რაიონი	22.858	19.121	154	22.858	710
61. ხობის რაიონი	12.836	5.359	5.686	12.836	521
სულ	2.511.020	1.620.503	303.603	2.511.020	69.066

დამტკიცდეს 1960 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან 100 პროცენტი;

ბ) ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 100 პროცენტი;

გ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, ჯოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა ღა მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

	ანარიცხების პროცენტები: მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან	ჯოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	სსრკ უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან	ბრუნვის გადასახადიდან
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	45	100	100	88	19.0
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	45	100	100	95	19.5
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	100	100	100	100	100.0
4. ქალაქი თბილისი	43	100	74	100	13.0
5. ქალაქი ქუთაისი	30	—	—	100	12.9
6. ქალაქი ფოთი	40	—	100	100	36.1
7. ქალაქი ჭიათურა	50	100	100	100	98.1
8. ქალაქი რუსთავი	40	—	—	100	77.5
9. ქალაქი გორი	30	—	—	100	31.9
10. აბაშის რაიონი	50	100	100	100	99.1
11. ადიგენის რაიონი	100	100	100	100	100.0
12. ამბროლაურის რაიონი	100	100	100	100	100.0
13. ასპინძის რაიონი	100	100	100	100	100.0
14. ახალქალაქის რაიონი	100	100	100	100	100.0
15. ახალციხის რაიონი	50	100	100	100	41.7
16. ახმეტის რაიონი	100	100	100	100	100.0
17. ბოგდანოვკის რაიონი	100	100	100	100	100.0
18. ბოლნისის რაიონი	100	100	100	100	100.0
19. ბორჯომის რაიონი	50	100	100	100	43.4
20. გეგეჭკორის რაიონი	100	100	100	100	100.0
21. გორის რაიონი	50	100	100	100	41.1
22. გურჯაანის რაიონი	100	100	100	100	100.0
23. დმანისის რაიონი	100	100	100	100	100.0
24. დუშეთის რაიონი	100	100	100	100	100.0
25. ვანის რაიონი	100	100	100	100	100.0
26. ხესტაფონის რაიონი	50	100	100	100	34.4
27. ხუდადიის რაიონი	50	100	100	100	37.1
28. თეთრი წყაროს რაიონი	100	100	100	100	100.0
29. თელავის რაიონი	50	100	100	100	43.6
30. თერჯოლის რაიონი	100	100	100	100	100.0
31. თიანეთის რაიონი	100	100	100	100	100.0
32. ასპის რაიონი	50	100	100	100	47.2
33. ლაგოდეხის რაიონი	50	100	100	100	44.8
34. ლანჩხუთის რაიონი	50	70	100	100	6.9
35. ლენტეხის რაიონი	100	100	100	100	—
36. მაიაკოვსკის რაიონი	100	100	100	100	100.0
37. მარნეულის რაიონი	50	100	100	100	50.4
38. მახარაძის რაიონი	20	50	50	100	16.9
39. მესტიის რაიონი	100	—	100	100	—
40. მცხეთის რაიონი	50	100	100	100	71.5
41. ონის რაიონი	100	100	100	100	100.0
42. ორჯონიკიძის რაიონი	100	100	100	100	100.0
43. საგარეჯოს რაიონი	100	100	100	100	100.0
44. სამტრედიის რაიონი	50	100	100	100	17.6
45. საჩხერის რაიონი	100	100	100	100	100.0
46. სიღნაღის რაიონი	50	100	100	100	85.2
47. ტყიბულის რაიონი	60	100	100	100	58.7
48. ქარელის რაიონი	50	100	100	100	88.7
49. ყაზბეგის რაიონი	100	100	100	100	100.0
50. ყვარლის რაიონი	100	100	100	100	100.0
51. ჩოხატაურის რაიონი	100	100	100	100	100.0
52. ჩხოროწყუს რაიონი	100	100	100	100	100.0
53. ცაგერის რაიონი	100	100	100	100	100.0
54. ცხაკაიას რაიონი	50	100	100	100	50.3
55. წალენჯიხის რაიონი	100	100	100	100	100.0
56. წალკის რაიონი	100	100	100	100	100.0
57. წითელწყაროს რაიონი	50	100	100	100	100.0
58. წულუკიძის რაიონი	100	100	100	100	100.0
59. წყალტუბოს რაიონი	100	100	100	100	100.0
60. ხაშურის რაიონი	100	100	100	100	100.0
61. ხობის რაიონი	100	100	100	100	100.0

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 26 ნოემბერი, 1959 წ.

მუშაობა დაამთავრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ

26 ნოემბერს დილის 10 საათზე გაიხსნა საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სხდომა. თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. დ. კუპრაძე.**

სესიაზე გრძელდებოდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა.

თავიანთ გამოსვლებში დეპუტატები ლაპარაკობდნენ საქართველოს მშრომელთა მიღწევებზე შვიდწლიდის პირველი წლის გეგმების განხორციელებაში. ერთსულოვნად იწონებდნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებს, რომლებიც შეესაბამებიან ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანებს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ **გ. ი. ჩოგოვაძემ**, დეპუტატებმა **შ. ო. გრძელიშვილმა** (ადიგენის საარჩევნო ოლქი, ადიგენის რაიონი); **ე. შ. გოგიტიძემ** (ქობულეთის საარჩევნო ოლქი, ქობულეთის რაიონი), **ს. ე. ჭილაიამ** (ხეთის საარჩევნო ოლქი, ხობის რაიონი), **შ. ლ. ჭანკოტაძემ** (საზანოს საარჩევნო ოლქი, თერჯოლის რაიონი), **დ. ზ. რამელაშვილმა)** გურჯაანის საქალაქო საარჩევნო ოლქი, გურჯაანის რაიონი), **მ. ფ. ორაგველიძემ** (მერიის საარჩევნო ოლქი, მახარაძის რაიონი), **ვ. ა. დურგარიანმა** (ჯიგრაშენის საარჩევნო ოლქი, ბოგდანოვკის რაიონი).

შესვენების შემდეგ განახლდა კამათი. გამოვიდნენ: საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი **გ. ა. ქრისტესაშვილი**, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი **ა. ა. გიგოშვილი.**

ამით დამთავრდა დღის წესრიგის პირველი ორი საკითხის — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების განხილვა.

საბოლოო სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ო. დ. გოცირიძემ** და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა **ბ. ა. ჩხეიძემ.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და კანონი საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. სესია ამტკიცებს ანგარიშს საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ შვიდწლედის მეორე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო, ითვალისწინებენ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ახალ დიდ ზრდას, მშრომელთა კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას.

სესია აწყვებს დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას — პროექტი კანონისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გამოწვევის წესის შესახებ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. გ. ესაიაშვილმა.**

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა **კ. კ. გარდაფხაძემ** (სტუდენტთა საარჩევნო ოლქი, ქალაქი თბილისი), **ბ. ვ. შინკუბამ** (ტამიშის საარჩევნო ოლქი, ოჩამჩირის რაიონი), **ე. კ. ხარაძემ** (აბასთუმნის საარჩევნო ოლქი, ადიგენის რაიონი), **კ. დ. ერისთავმა** (გორკის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ბათუმი), **ა. ი. შანშიაშვილმა** (აკრეთის საარჩევნო ოლქი, გურჯაანის რაიონი).

ყველა ორატორი აღნიშნავდა, რომ დიდმნიშვნელოვანი და დროულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გამოწვევის წესის შესახებ კანონის მიღება, რომელიც შეტანილია სესიის განსახილველად.

კამათის შეწყვეტის შემდეგ უმაღლესი საბჭო ერთხმად იღებს კანონს „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გამოწვევის წესის შესახებ".

უმაღლესი საბჭო იწყებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა განხილვას, რომლებიც მიღებულია პირველიდან და მეორე სესიამდე განვლილ პერიოდში. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ზ. ბ. გელდიაშვილმა.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი ერთხმად დამტკიცეს.

სესიამ განიხილა მთელი რიგი სხვა საკითხები. იმასთან დაკავშირებით, რომ დეპუტატი **ნ. ე. ჭახრაკია** დაინიშნა საქართველოს მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების მეოთხე მუხლის საფუძველზე განთავისუფლებულ იქნა სებიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი სებიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **ვ. ა. ჩოფიკაშვილი** (სტალინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი გორი), რომელიც განთავისუფლებულ იქნა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან. ამ კომისიის წევრად არჩეულია დეპუტატი **ა. თ. კენჭაძე.** (ისნის საარჩევნო ოლქი, ქალაქი თბილისი).

თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ სესიის დღის წესრიგის ყველა საკითხი განხილულია, და საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიას დახურულად აცხადებს. (საქდესი).

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლებში 5.609.897 ათასი მანეთის, ხარჯებში — 5.567.937 ათასი მანეთის ოდენობით, შემოსავლების ხარჯებზე 41.960 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 26 ნოემბერი, 1959 წ.

კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ".

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 50. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ქმნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრები;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 26 ნოემბერი, 1959 წ.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ

დეპუტატის გაწვევის უფლება, როგორც სოციალისტური დემოკრატიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რაც საბჭოთა სახელმწიფოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად დაწესდა, გამოხატავს მშრომელთა სრულუფლებიანობას და უზრუნველყოფს დეპუტატის ნამდვილ პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე.

ითვალისწინებს რა ამას, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის 155 მუხლის შესაბამისად ა დ გ ე ნ:

მუხლი 1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება გაწვეულ იქნას ყოველ დროს, თუ მან ვერ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა ან ჩაიდინა ისეთი რამ, რაც არ შეეფერება დეპუტატის მაღალ წოდებას.

მუხლი 2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება უზრუნველყოფილია მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებებისათვის: კომუნისტური პარტიული ორგანიზაციებისათვის, პროფესიული კავშირების, კოოპერაციული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციებისა და კულტურული საზოგადოებებისათვის — მათი რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო ორგანოების სახით, ასევე მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებისათვის — საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლხებისათვის — კოლმეურნეობებსა და სოფლებში, სამხედრო მოსამსახურეებისათვის — ჯარის ნაწილებში.

მუხლი 3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც აღძრავენ დეპუტატის გაწვევის საკითხს, ამის შესახებ ატყობინებენ დეპუტატს, ამასთან აცნობენ გაწვევის საკითხის დაყენების მოტივებს. დეპუტატს უფლება აქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან მშრომელთა კრებებს, რომლებიც გაწვევის საკითხს აღძრავენ, წარუდგინოს ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით იმ გარემოებათა გამო, რომლებიც საფუძვლად დაედო გაწვევის საკითხის აღძვრას.

მუხლი 4. გადაწყვეტილებანი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კრებებისა, რომლებმაც დეპუტატის გაწვევის საკითხი აღძრეს, ეგზავნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს წარმოდგენილ მასალებს და თუ დეპუტატის გაწვევის საკითხი აღძრულია ამ კანონით მოთხოვნათა დაცვით, ნიშნავს კენჭისყრას დეპუტატის გაწვევის შესახებ.

მუხლი 5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხს განიხილავენ და წყვეტენ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებები, რომლებსაც იწვევენ ამ კანონის მე-2 მუხლში აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, ჯარის ნაწილებში, აგრეთვე ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხზე მიიღება ღია კენჭისყრით.

მუხლი 6. მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დანიშნავს კენჭისყრას დეპუტატის გაწვევის შესახებ, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 138 მუხლის თანახმად ყოველი საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, ისევე როგორც სსრ კავშირის ყოველი მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია დაუბრკოლებელი აგიტაციის უფლება დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ.

მუხლი 7. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის შესრულებისადმი თვალყურის სადევნებლად და კენჭისყრის შედეგების განსაზღვრისათვის შესაბამის საარჩევნო ოლქში იქმნება საოლქო კომისია მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებების წარმომადგენელთაგან, აგრეთვე მშრომელთა საერთო კრებების წარმომადგენელთაგან კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 4-6 წევრის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობ საოლქო კომისიას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე შესაბამისად ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 8. ამომრჩეველთა კრებების ოქმებში აღინიშნება კრების დრო და ადგილი, კრების დამსწრე ამომრჩეველთა რაოდენობა, დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და იგი სამი დღის ვადაში წარედგინება დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობ საოლქო კომისიას.

მუხლი 9. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შომწყობი საოლქო კომისია ამომრჩეველთა კრებების ოქმების საფუძველზე დაითვლის დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ ოლქში მიცემულ ხმებს და ადგენს გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს.

საოლქო კომისია დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგების ოქმს წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მუხლი 10. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გაწვეულად ითვლება თუ გაწვევას ხმა მისცა ამ საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობამ.

მუხლი 11. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს არაუგვიანეს ხუთი დღისა კენჭისყრის შედეგების განსაზღვრის შემდეგ აქვეყნებს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია.

მუხლი 12. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის დარღვევის გამო საჩივრებს განიხილავს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია.

დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის არასწორი მოქმედების გამო საჩივრებს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი 26 ნოემბერი 1959 წ.

კ ა ნ ო ნ ი

„საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის გრძანებულება „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 26 ნოემბერი 1959 წ.

გვინეის სახელმწიფოს მეთაური სეკუ ტურე მოსკოვში

25 ნოემბერს ბანდუნგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების ელჩებმა, რომლებიც აკრედიტებული არიან სსრ კავშირში, საუზმე გამართეს მოსკოვში გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის თავმჯდომარის სეკუ ტურეს პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ფ. რ. კოზლოვი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები და სხვა ოფიციალური პირნი.

საუზმის დროს ერთმანეთს მეგობრული სიტყვებით მიმართეს ინდოეთის ელჩმა სსრ კავშირში კ. პ. ჟ. მენონმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ლიუ სიაომ, გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და მთავრობის თავმჯდომარემ სეკუ ტურემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში მოჰამედ ა. ელ კუნმ.

ნაშუადღევს გვინეელი სტუმრები სეკუ ტურეს მეთაურობით ეწვევნენ მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტს ლენინის გორაზე, დათვალიერეს ქვეყანათმცოდნეობის მუზეუმი, შეხვდნენ უნივერსიტეტის სტუდენტებსა და მასწავლებლებს, რომლებმაც განსაკუთრებით გულთბილი და გულითადი მიღება მოუწყეს სტუმრებს.

საღამოს გვინეის რესპუბლიკის მეთაურმა სეკუ ტურემ დარბაზობა გამართა კრემლის დიდ სასახლეში. საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუსინენი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი და სხვები. (საკდესი).

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ მუშაობა დაამთავრა

26 ნოემბერს რუსეთის სფსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეწყდეს კამათი მოხსენებათა გამო რუსეთის სფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, რესპუბლიკის 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1958 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. კამათში გამოვიდა სულ 29 კაცი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. ნ. ნოვიკოვმა.** სესიამ ერთხმად მიიღო კანონი რუსეთის სფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

რუსეთის სფსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ი. ი. ფადეევის საბოლოო სიტყვის შემდეგ ასევე ერთხმად მიღებულ იქნა კანონი რუსეთის სფსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და დადგენილება 1958 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

სესია შეუდგა დღის წესრიგის მესამე საკითხის განხილვას. სიტყვა მოხსენებისათვის რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გამოწვევის წესის კანონის პროექტის შესახებ ეძლევა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ვ. ი. კრასტიანინოს.**

განხილვის შემდეგ სესიამ ერთხმად მიიღო კანონი რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გამოწვევის წესის შესახებ.

მოხსენება რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ გრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა პირველი სესიის შემდეგ, გააკეთა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ს. დ. ორლოვმა.** სესიამ დამტკიცა გრძანებულებანი.

შემდეგ დეპუტატ **ბ. ნ. პოსპელოვის** წინადადებით სესიამ განიხილა საკითხი რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, რომ **ნ. გ. იგნატოვი** უნდა იმყოფებოდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ძირითად სამუშაოზე, სესიამ გაათავისუფლა იგი რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი **ნ. ნ. ორგანოვი.**

რუსეთის სფსრ უმაღლეს საბჭოს მეორე სესია დაიხურა. (საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის, დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის მოხსენება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დღეებში. როცა ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის გაშლილი ბრძოლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის. სესია განიხილავს და დაამტკიცებს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის — შვიდწლედის მეორე წლის სახელმწიფო გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტს.

1959 წლის განვლილი პერიოდის შედეგები ნათლად მოწმობენ იმას, რომ მიღწეულია ახალი მძლავრი აღმავლობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფართო პროგრამის განხორციელება მოითხოვს, რომ 1960 წელს უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო ფინანსური რესურსების შემდგომი ზრდა, რის მიღწევაც შეიძლება წარმოების განუხრელი გაფართოებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებისა და მიმოქცევის ხარჯების შემდგომი შემცირების საფუძველზე.

წინასწარი მონაცემების მიხედვით მოსალოდნელია საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მთლიანად შესრულება, რაც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეუფერხებელ დაფინანსებას.

საქართველოს სს რესპუბლიკის 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში, განსაზღვრულია 6.428.738 ათასი მანეთის ოდენობით, რაც 1959 წლისათვის დამტკიცებულ ბიუჯეტს აღემატება 652.398 ათასი მანეთით, ანუ 11,3 პროცენტით.

ბიუჯეტის შემოსავალი

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი 1960 წლისათვის შეადგენს 6.428.738 ათას მანეთს. ამ შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სოციალისტური საწარმოებისა და ორგანიზაციების დაგროვება, რაც ბიუჯეტში შემოდის ბრუნვის გადასახადის, მოგების ანარიცხებისა და სხვა შემოსავლის სახით.

1960 წლისათვის ბრუნვის გადასახადის გეგმა განსაზღვრულია 4.557,8 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც 1959 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით რამდენადმე მცირდება სახალხო მოხმარების ზოგიერთი საქონლის საცალო და საბითუმო ფასების ცვლილებებთან და არაყის ნაწარმის მოხმარების შემცირებასთან დაკავშირებით.

რესპუბლიკურ ბიუჯეტში მოგების ანარიცხების გეგმას მიმდინარე წელს სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოები დამაკმაყოფილებლად ასრულებენ. გეგმებს ასრულებენ აგრეთვე სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და ზოგიერთი სხვა უწყებისა და ორგანიზაციის საწარმოები.

ამასთანავე მთელი რიგი საწარმოები დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე. მიმდინარე წლის 9 თვეში კონსერვტრესტმა მოგების გეგმის შეუსრულებლობის შედეგად ბიუჯეტში შეიტანა მხოლოდ 1,4 მილიონი მანეთი ნაცვლად 24,3 მილიონი მანეთისა. საქართველოს ხორცის მრეწველობის ტრესტმა მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში ბიუჯეტს დააკლო 3 მილიონი მანეთი, ვაჭრობის სამინისტროს საწარმოებმა — 6,6 მილიონი მანეთი, კულტურის სამინისტროს საწარმოებმა — 1,6 მილიონი მანეთი, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საწარმოებმა — 2,6 მილიონი მანეთი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მშენებლობის სამინისტროს საწარმოებმა ამ პერიოდში ბიუჯეტში გადაიხადეს მხოლოდ 4,2 მილიონი მანეთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 31,3 მილიონი მანეთისა.

მთელ რიგ რაიონებში ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებენ ბიუჯეტში მოგების ანარიცხების გეგმას. ამ მხრივ საგრძნობი ჩამორჩენაა ბოლნისის, დუშეთის, გეგეჭკორის, ხობისა და ცხაკაიას რაიონებში. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამბროლაურის, ასპინძის, ბორჯომის, ყაზბეგის, საჩხერის, წალკისა და წულუკიძის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს 9 თვის განმავლობაში ბიუჯეტში მოგების ანარიცხი სრულიად არ შეუტანიათ.

1960 წლისათვის ბიუჯეტში მოგების ანარიცხები დაგეგმილია 1.745,1 მილიონი მანეთის ოდენობით.

1960 წელს სანახაობის გადასახადის სახით ბიუჯეტში გათვალისწინებულია შემოსავალი 69.170,0 ათასი მანეთის ოდენობით.

უკანასკნელ წლებში მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა მოსახლეობის გადასახადთა შესამცირებლად. მუშა-მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა კანონმდებლობის წესით განთავისუფლებულია გადასახადისაგან დაუბეგრავი მინიმუმის გაღიდების გამო. მკვეთრად შემცირდა უცოლო, უქმრო და მარტოხელა მოქალაქეთა გადასახადის გადამხდელთა რიცხვი. ამ ღონისძიებებმა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წინათ განხორციელებულმა შემცირებამ მნიშვნელოვნად შეამცირა მოსახლეობის გადასახადების თანხა.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მოსახლეობის ანაბრები რესპუბლიკის შემნახველ სალაროებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. ამჟამად 740 ათასი მშრომელი 1 მილიარდ 750 მილიონ მანეთს ინახავს რესპუბლიკის შემნახველ სალაროებში.

სტიქიური მოვლენებისა და სხვა მიზეზების შედეგად დაზარალებულ მეურნეობებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს სახელმწიფო დაზღვევა. 1958 წელს ამ მიზეზებით გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებლად სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებმა რესპუბლიკაში გასცეს 70 მილიონი მანეთი, აქედან კოლმეურნეობებს მიეცათ 45,3 მილიონი მანეთი.

ბიუჯეტის გასავალი

საქართველოს სსრ 1960 წლის ბიუჯეტით გასავალი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაგეგმილია 6.428.738 ათასი მანეთის ოდენობით. 1959 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 652.398 ათასი მანეთით, ანუ 11,3 პროცენტით.

1960 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია: სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად 2.615.699 ათასი მანეთი, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — 3.463.774 ათასი მანეთი, მმართველობის ხარჯებისათვის — 173.817 ათასი მანეთი.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის 1960 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 2.615,7 მილიონი მანეთის გადამეტებით საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი სახსრებიდან დაიხარჯება 2.044,0 მილიონი მანეთი. ამგვარად, სულ სახალხო მეურნეობის დაფინანსებას მოხმარდება 4.659,7 მილიონი მანეთი.

მრეწველობისა და მშენებლობის დაფინანსება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობის წარმატებით მუშაობაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს ის გარემობა, რომ საერთო პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ შეასრულა 104 პროცენტით და ადგილობრივი საბჭოების მრეწველობამ — 103 პროცენტით.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად 1960 წელს გამოყოფილ სახელმწიფო ასიგნობათა ძირითადი ნაწილი მრეწველობის განვითარებას მოხმარდება.

1960 წელს სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით მრეწველობისა და მშენებლობის დაფინანსებას მოხმარდება 2.410,9 მილიონი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან —1.187,8 მილიონი მანეთი საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი სახსრებიდან—1.223,1 მილიონი მანეთი. მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯება შავი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის და ხელსაწყოთმშენებლობისა და ქვანახშირის მრეწველობის განვითარებაზე.

კაპიტალური დაბანდების დაფინანსება ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია 1.599,2 მილიონი მანეთის და საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი სახსრებიდან — 701,3 მილიონი მანეთის ოდენობით. მარტო სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებაზე ბიუჯეტიდან დაიხარჯება 717,7 მილიონი მანეთი, ხოლო საკუთარი სახსრებიდან — 543,5 მილიონი მანეთი.

კაპიტალურ მშენებლობაზე სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად ხარჯვისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალური და ფულადი რესურსების კონცენტრაციას მშენებლობის ასამუშავებელ და უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებმა მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში დაუშვეს შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულების გადიდება 12 მილიონი მანეთის ოდენობით.

მიმდინარე წლის 10 თვეში სახალხო მეურნეობის საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფ საწარმოთა 22,4 პროცენტმა ვერ შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა და 9 თვის განმავლობაში საწარმოთა 23 პროცენტს მნიშვნელოვანი ოდენობით არ შეუსრულებია დაგროვების გეგმა.

მთლიანად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით 9 თვეში პროდუქციის თვითღირებულების საგეგმო დავალების შესრულების პირობებში ჭიათურის მარგანეცის, ტყვარჩელის ქვანახშირის, „ცხიმეთერზეთის“ ტრესტებმა და ზოგიერთმა სხვა ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყვეს ამ დავალების შესრულება.

თბილისის ხორცის კომბინატმა მიმდინარე წლის 9 თვეში გეგმით გათვალისწინებული 1,2 მილიონი მანეთი მოგების ნაცვლად დაუშვა 2 მილიონ მანეთზე მეტი ზარალი.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენს რესპუბლიკაში წარმოების მოცულობის ზრდის შესაბამისად საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების მატებაზე 1960 წლისათვის გათვალისწინებულია 395,1 მილიონი მანეთი, მათ შორის სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით — 298,9 მილიონი მანეთი.

1959 წლის 1 ოქტომბრისათვის სახალხო მეურნეობის საბჭოს ცალკეულ სამრეწველო საწარმოებში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთები უდრიდა 147 მილიონ მანეთს, მათ შორის მზა პროდუქციისა — 88,8 მილიონ მანეთს.

მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების არსებობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ძნელად სარეალიზაციო პროდუქციის გამოშვება, ზოგ შემთხვევაში გეგმის ზევითაც კი.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის დიდი რაოდენობით დაგროვდა დაუდგმელი მოწყობილობა. საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სპეციალურად განიხილეს ეს საკითხი და მიიღეს სათანადო დადგენილება, რომლის საფუძველზეც სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა აღკვეთონ ამ საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

* * *

წარმოების გაფართოებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების შესაბამისად 1960 წელს საკალო საქონლებრუნვა რესპუბლიკაში 6 პროცენტით გაიზრდება. ბიუჯეტით გათვალისწინებულია საჭირო თანხები სავაჭრო ქსელის გაფართოებისა და სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მოწყობისათვის. საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების მატებისათვის ვაჭრობის სამინისტროს ხაზით გათვალისწინებულია 31,1 მილიონი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან — 10 მილიონი მანეთი.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაცია ჯერ კიდევ ცუდად მუშაობს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის 9 თვის საქონელბრუნვის გეგმა საქართველოს რესპუბლიკაში არ შესრულებულა. კერძოდ, ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო ორგანიზაციებმა გეგმა შეასრულეს მხოლოდ 98,2 პროცენტით, ცეკავშირის საწარმოებმა კი — 97,8 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის დაფინანსება

საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების დაფინანსებაზე, აგრონომიული და ზოოვეტერინარული ქსელის შენახვაზე, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით სახელმწიფო ღონისძიებათა განხორციელებაზე 1960 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 195 მილიონი მანეთი.

გარდა ამისა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების საკუთარი სახსრების დაბანდება გათვალისწინებულია 171 მილიონ მანეთზე მეტი ოდენობით. ამასთან რესპუბლიკის კოლმეურნეობები წინასწარი მონაცემებით კაპიტალურ დაბანდებებზე დახარჯავენ თავიანთი სახსრებიდან 670 მილიონ მანეთს და სახელმწიფო ბანკის კრედიტებით 50 მილიონ მანეთს.

კაპიტალური დაბანდებანი წყალთა მეურნეობის ღონისძიებებზე 1960 წელს გათვალისწინებულია 56,8 მილიონი მანეთის ოდენობით, მათ შორის ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ხაზით — 15 მილიონი მანეთი. გარდა ამისა სარწყავი სისტემების და სხვა საექსპლოატაციო ღონისძიებებისათვის გამოიყოფა 30 მილიონამდე მანეთი.

ტყეკულტურებისა და ტყის მეურნეობის სამუშაოებზე, აგრეთვე ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის აღდგენასა და გაფართოებაზე 1960 წელს დახარჯება 52,1 მილიონი მანეთი, ანუ 5,6 მილიონით მანეთით მეტი, ვიდრე 1959 წელს.

1960 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში მყოფი საბინაო და კომუნალური მეურნეობის დაფინანსებას 551,9 მი-

(დასასრული მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის მოხსენების დასასრული

ლიონი მანეთის ოდენობით. დიდი თანხები იქნება გაღებული ამ მეურნეობათა საკუთარი წყაროებიდანაც.

საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს ხაზით 1960 წელს გათვალისწინებულია საერთო მოგება 148 მილიონი მანეთის ოდენობით ნაცვლად მიმდინარე წლის 92,1 მილიონი მანეთისა.

იზრდება შემოსავალი კავშირგაბმულობის სამინისტროს ხაზითაც რადიოქსელისა და სატელევიზიო ქსელის, აგრეთვე ტელეფონიზაციის ფართოდ განვითარებით.

რესპუბლიკური და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და მოვლა-სათვის 1960 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 173.878 ათასი მანეთი, აქედან სპეციალური სახსრებიდან — 12.900 ათასი მანეთი. გარდა ამისა, ადგილობრივ გზებზე დაიხარჯება 13.573 ათასი მანეთი.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ 1960 წლის ბიუჯეტით ხარჯები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე შემდეგნაირად ნაწილდება:

სახალხო განათლება, კადრების მომზადება, მეცნიერება და კულტურა — 1.857.671 ათასი მანეთი.

ჯანმრთელობის დაცვა — 741.160 ათასი მანეთი.

ფიზკულტურა და სპორტი — 23.760 ათასი მანეთი.

სოციალური უზრუნველყოფა და სახელმწიფო დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს — 841.183 ათასი მანეთი

სულ — 3.463.774 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ 1960 წლის ბიუჯეტით ასიგნობანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად 1959 წელთან შედარებით გაზრდილია 351 მილიონი მანეთით, ანუ 11,3 პროცენტით და ბიუჯეტის ხარჯების საერთო მოცულობის 53,8 პროცენტს შეადგენს.

1960 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია დაიხარჯოს: ბავშვთა და მოზარდთა განათლებასა და აღზრდაზე — 873,2 მილიონი მანეთი, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაზე — 56,3 მილიონი მანეთი, კადრების მომზადებაზე — 387,7 მილიონი მანეთი, მეცნიერების შემდგომ განვითარებაზე — 192,6 მილიონი მანეთი, ხელოვნების განვითარებაზე — 27,5 მილიონი მანეთი.

საბავშვო დაწესებულებებ ი ს, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, მუზეუმებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობათა კაპიტალურ რემონტზე დაიხარჯება 71,1 მილიონი მანეთი, ამავე დაწესებულებებისათვის ახალი სპეციალური და სამეურნეო ინვენტარის შეძენასა და შევსებაზე გამოიყოფა 67,7 მილიონი მანეთი, განათლებისა და კულტურის ობიექტების მშენებლობაზე — 163,2 მილიონი მანეთი.

„ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის შესასრულებლად დასახულია მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელება და საქართველოს სსრ 1960 წლის ბიუჯეტით უზრუნველყოფილია ამ ღონისძიებათა დაფინანსება.

დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტი გათვალისწინებულია 651.400 კაცის რაოდენობით. ახალი სასწავლო პროგრამით საწარმოო სწავლებაზე გადაყვანილ იქნება 19.000 მოსწავლე. დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების შენახვაზე გათვალისწინებულია 602.4 მილიონი მანეთი, ანუ წინა წელთან შედარებით 34,1 მილიონი მანეთით მეტი.

1960 წელს გაიხსნება 13 ახალი სკოლა-ინტერნატი და მათი რიცხვი წლის ბოლოსათვის აყვანილ იქნება 40-მდე, სადაც ისწავლის 10.000 მოსწავლე. მათ შენახვაზე ბიუჯეტით გათვალისწინებულია 59,4 მილიონი მანეთი. გარდა ამისა, სკოლა-ინტერნატების სასწავლო, საცხოვრებელ და დამხმარე შენობათა მშენებლობისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 63,8 მილიონი მანეთი.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის შენახვაზე ბიუჯეტით გათვალისწინებულია 56,3 მილიონი მანეთი. ეს უზრუნველყოფს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 1.313 მასობრივი ბიბლიოთეკის, 192 კულტურის სახლის, 1.286 სასოფლო კლუბის. ქოხსამკითხველოს და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შეუფერხებელ დაფინანსებას.

არადამკმაყოფილებლად მუშაობს კულტურის სამინისტროს ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაცია, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ უხეშად ირღვეოდა საფინანსო დისციპლინა.

მიმდინარე წელს საკავშირო დაქვემდებარებიდან რესპუბლიკის გამგეობაში გადმოვიდა სამეცნიერო დაწესებულებანი და სასწავლებლები. ამავე დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების კომიტეტი. აღნიშნული კომიტეტის ხაზით ბიუჯეტით გათვალისწინებულ იქნება სულ 342,2 მილიონი მანეთი. ბიუჯეტიდან დაფინანსებულ 18 უმაღლეს სასწავლებელში ისწავლის 51.930 სტუდენტი, მათ შორის დაუსწრებელ განყოფილებებზე — 23.382 სტუდენტი. 86 საშუალო სპეციალურ სასწავლებელში — 23.658 მოსწავლე. უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში საღამოსა და დაუსწრებელი განყოფილებების მოსწავლეთა კონტინგენტი საგრძნობლად იზრდება. მეცნიერების განვითარებაზე 1960 წლის ბიუჯეტით ხარჯები შეადგენს 192,6 მილიონ მანეთს. გარდა ამისა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დაქვემდებარების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების შენახვასა და სამეცნიერო მუშაობაზე სამეურნეო ორგანიზაციების სახსრებიდან დაიხარჯება 37,3 მილიონი მანეთი.

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის შენახვაზე 1960 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 741,2 მილიონი მანეთი, რაც 1958 წლის ფაქტიურ ხარჯებს 86,9 მილიონი მანეთით აღემატება.

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების შენობა-ნაგებობათა კაპიტალურ რემონტზე ბიუჯეტით დაიხარჯება 764,4 მილიონი მანეთი, სამეურნეო და სამედიცინო ინვენტარის შეძენაზე — 13,3 მილიონი მანეთი, ახალ მშენებლობაზე — 22, 8 მილიონი მანეთი.

რესპუბლიკაში 1960 წელს იმუშავებს 39 სანატორიუმი 7.890 საწოლით. 23 დასასვენებელი სახლი 4.195 საწოლით, 12 პანსიონატი 1.420 ადგილით. საკურორტო მეურნეობაზე საფინანსო გეგმით გათვალისწინებულია დაიხარჯოს 88,3 მილიონი მანეთი — ბიუჯეტიდან 49 მილიონი მანეთი, ხოლო დანარჩენი 39,3 მილიონი მანეთი საკურორტო მეურნეობის საკუთარი სახსრებიდან.

სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებზე 1960 წელს ბიუჯეტით დაიხარჯება 764,4 მილიონი მანეთი, მათ შორის სახელმწიფო სოციალური დახმარებიან სახსრებიდან შრომის პენსიონერებისათვის პენსიებსა და დახმარებაზე — 702 მილიონი მანეთი. გარდა ამისა, 1960 წლიდან რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიეცემათ დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს, რაც აქამდე საკავშირო ბიუჯეტიდან ეძლეოდათ. ამჟამად საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მრავალშვილიანობისათვის სახელმწიფო დახმარებას იღებს 70. 481 დედა. დედებისათვის დახმარების მისაცემად 1960 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 76, 8 მილიონი მანეთი, ხოლო დღიდან კანონის გამოსვლისა (1944 წლის ივნისიდან) დღემდე გაცემულია 1.023.432 ათასი მანეთი.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ღონისძიებებზე 1960 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 23,8 მილიონი მანეთი.

მმართველობის ორგანოების შენახვისათვის 1960 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 173,3 მილიონი მანეთი, ანუ 5,8 მილიონი მანეთით ნაკლები, ვიდრე წელს. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ეკონომია 8 მილიონი მანეთის ოდენობით მმართველობის აპარატის და სხვა არასაწარმოო პერსონალის შენახვის ხარჯებში.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვის საქმეში ჯერ კიდევ არის საფინანსო და სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევები. 1959 წლის პირველ ნახევარში საფინანსო ორგანოებმა გამოავლინეს დიდი რაოდენობით შტატზევითი თანამდებობა და უკანონოდ გადიდებული თანამდებობრივი განაკვეთი.

ადგილობრივი ბიუჯეტები

საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების საერთო თანხა შეადგენს 2.503,4 მილიონ მანეთს.

ამ თანხიდან შემოსავლის ადგილობრივი წყაროებით იფარება, 584,9 მილიონი მანეთი, 1.617,1 მილიონი მანეთი ადგილობრივ ბიუჯეტებს ეძლევა სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხების სახით, დანარჩენი 301,4 მილიონი მანეთი იფარება დოტაციით რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

1960 წლის ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადგილობრივი მეურნეობის კომბინატების მოგებათა ანარიცხებს, რომელთა საერთო თანხა 224,6 მილიონ მანეთს შეადგენს.

1960 წლის ბიუჯეტით მიმდინარე წელთან შედარებით გაზრდილია დაფინანსება სახალხო მეურნეობაზე — 28,8 მილიონი მანეთით, სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა შენახვაზე — 195,7 მილიონი მანეთით.

ზოგ რაიონში სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას კონტროლი ხელფასის ფონდის ხარჯვისადმი, რის შედეგად სკოლებში, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამკურნალო და სხვა დაწესებულებებში ხელფასის ფონდის მნიშვნელოვანი გადახარჯვა იყო (ბათუმის, გეგეჭკორის, სტალინირის, ცაგერის, კასპის და ონის რაიონები).

პენსიების არასწორად დანიშვნის შედეგად კასპის, სამგორის და ხულოს რაიონმასკომების სოციუზრუნველყოფის განყოფილებებმა ზედმეტად გასცეს სახსრები საგრძნობი ოდენობით.

ნაცვლად იმისა, რომ წლის განმავლობაში თანმიმდევრულად აითვისონ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნობანი, ზოგიერთ რაიონში ცდილობენ წლის ბოლოს გამოიყენონ ბიუჯეტის აუთვისებელი სახსრები, ხოლო შემდეგ დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში უკანონოდ ურიცხავენ მათ სხვადასხვა ორგანიზაციებს. ასე მოიქცნენ ფოთისა და ბათუმის საქალაქო საბჭოების აღმასკომები. მსგავსი ფაქტები აღარ უნდა გამეორდეს.

* * *

1960 წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილია დასამტკიცებლად საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულებულია შემოსავლის ნაწილში 5.609.897 ათასი მანეთის, ხოლო გასავლის ნაწილში 5.567.937 ათასი მანეთის ოდენობით. შემოსავალმა გადააჭარბა გასავალს 41.960 ათასი მანეთით. საბიუჯეტო სახსრების ნაშთი სახელმწიფო ბიუჯეტით 1959 წლის 1 იანვრისათვის 188.636 ათას მანეთს შეადგენდა.

1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების საერთო მოცულობა შესრულებულია გადაჭარბებით როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება მთლიანად ვერ უზრუნველყვეს წულუკიძის, დუშეთის, ცხაკაიას, აბაშის, ადიგენის, საჩხერის და სხვა რაიონებმა.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი კანონი სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შემდგომ გაფართოებას. ახალი საბიუჯეტო უფლებებს საფუძველზე იზრდება მოკავშირე რესპუბლიკებიკომპეტენცია საბიუჯეტო კანონმდებლობის დარგში.

ეჭვი არ არის, რომ 1960 წლის ბიუჯეტი წარმატებით შესრულდება, რაც ხელს შეუწყობს შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით განხორციელებას. **(ტაში).**

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ვ. ზ. თოხაძის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსახილველად შემოტანილი სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმა წარმოადგენს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის შვიდწლედის მეორე წლის საბრძოლო პროგრამას. იგი გამომდინარეობს ჩვენი პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანებიდან და აგებულია ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპების შესაბამისად.

თქვენ მოისმინეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ო. დ. გოცირიძის და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის მოხსენებები ჩვენი რესპუბლიკის 1960 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. ამ მოხსენებებში მოყვანილია ცნობები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე ასიგნობათა მნიშვნელოვნად გადიდების შესახებ, რომლებიც ცხადყოფენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდ ზრუნვას საქართველოს სსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

1960 წლის გეგმა მიმდინარე წელთან შედარებით ითვალისწინებს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდას 5,3 პროცენტით მანქანათმშენებლობის პროდუქცია გამოშვებული იქნება 33,5 პროცენტით მეტი. მათ შორის მნიშვნელოვნად იზრდება ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქციის გამოშვება, ხოლო ქიმიური მრეწველობისა — 16 პროცენტით. შესაბამისად გაიზრდება საშენი მასალების წარმოება, განსაკუთრებით რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების დამზადება. ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზრდება 18,3 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის დარგში გათვალისწინებულია პროდუქტების წარმოების შესამჩნევი ზრდა. სახელდობრ, მარცვლეულის საერთო მოსავალი გაიზრდება 40 პროცენტით 1958 წელს ფაქტიურად აღებულთან შედარებით, ხორცის წარმოება (საკლავი წონით) რესპუბლიკაში გადიდდება 105 ათას ტონამდე ნაცვლად 1958 წელს წარმოებული 79 ათასი ტონისა, რძის წარმოება— 44 პროცენტით და ა. შ.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის (ცეკავშირის საკომისიო ვაჭრობის გარდა) საქონელბრუნვა სახალხო მეურნეობის გეგმით შემავალი წლისათვის 6 პროცენტით მეტია 1959 წელთან შედარებით.

1960 წელს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა განსაზღვრულია 2 მილიარდ 300 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც 1959 წლის გეგმის მოსალოდნელ შესრულებას აღემატება 17,9 პროცენტით, აქედან საბინაო მშენებლობას მოხმარდება 392 მილიონი მანეთი.

განხილია რა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა, საბიუჯეტო კომისიის წინადადება შემოაქვს მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მთავრობის მიერ წარმოდგენილი სახალხო მეურნეობის გეგმა იმ შენიშვნების გათვალისწინებით, რომლებიც მოცემულია საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში საქართველოს სსრ 1960 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოდგენილია აგრეთვე 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

საანგარიშგებო მასალების განხილვის შედეგად დადგენილია, რომ 1958 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულებულია: შემოსავლის ნაწილში 5.609.897 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში 5.567.937 ათასი მანეთის ოდენობით. შემოსავალი აღემატება გასავალს 41.960 ათასი მანეთით.

საბიუჯეტო კომისიას წინადადება შეაქვს დამტკიცდეს წარმოდგენილი ანგარიში საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

საბიუჯეტო კომისიამ განიხილა აგრეთვე წინასწარი მონაცემები მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ მოსალოდნელია 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანად შესრულება.

ამხანაგო დეპუტატებო! 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად 6.428.738 ათასი მანეთის ოდენობით.

როგორც წინა წლებში, 1960 წლის ბიუჯეტის მთავარ საშემოსავლო წყაროს შეადგენს შემოსავალი სოციალისტური მეურნეობიდან, რაც ბიუჯეტში გათვალისწინებულია 5.690.029 ათასი მანეთის ოდენობით. მისი ხვედრითი წონა ბიუჯეტის საერთო შემოსავალში უდრის 88,6 პროცენტს, მათ შორის ბრუნვის გადასახადი 45,1 პროცენტს და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების ანარიცხები 23,6 პროცენტს.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი უწყებები და ორგანიზაციები, რომლებიც ვერ ასრულებენ პროდუქციის გამოშვების, თვითღირებულების შეკირების გეგმებს, მთელ რიგ შემთხვევებში ზარალით ამთავრებენ თავიანთ სამეურნეო საქმიანობას.

მიმდინარე წელს პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებაში ჩამორჩნენ სახალხო მეურნეობის საბჭოს ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს საწარმოები, რომლებმაც ათი თვის გეგმა შეასრულეს მხოლოდ 94,5 პროცენტით. ამ სამმართველოს საწარმოებში არადამაკმაყოფილებლად სრულდება ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებისა და ახალ ნაკეთობათა წარმოების ათვისების გეგმები. საწარმოო დავალებები ვერ შეასრულეს აგრეთვე სახალხო მეურნეობის საბჭოს ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს, ტრესტ „ტყეკარჩელქვანახშირის“, „საქთეზბრეწვის“, „საქკონსერვტრესტის“ და „ახალციხანახშირის“ მაღაროთა-სამმართველოს საწარმოებმა.

საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში სახალხო მეურნეობის 1960 წლის გეგმის შესახებ აღნიშნულია, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოები მიმდინარე წლის პროდუქციის გამოშვების გეგმებს საერთოდ გადაჭარბებით ასრულებენ. მიუხედავად ამისა, იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც ცალკეული კვარტალების მიხედვით ვერ ასრულებენ დავალებებს, ჯერ კიდევ საგრძნობლად დიდია.

აღსანიშნავია, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა საერთოდ მიმდინარე წლის ცხრა თვეში მიაღწიეს ხელფასის ფონდის შეფარდებით დაზოგვას 130,7 მილიონი მანეთით, მაგრამ ამავე დროს საწარმოთა 22,7 პროცენტმა დაუშვა ხელფასის ფონდში შეფარდებითი გადახარჯვა 7 მილიონ მანეთამდე.

სოციალისტური მეურნეობის სწორად წარმართვა გულისხმობს, რომ მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ზრდა უნდა უსწრებდეს მათი ხელფასის ზრდას. ჩვენი რესპუბლიკის მთელი მრეწველობის მასშტაბით ეს პირობა კარგად არის დაცული. თუ მიმდინარე წლის ცხრა თვეში შრომის ნაყოფიერება 1958 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგენს 105,8 პროცენტს, ამავე პერიოდში შრომის ხელფასი შეადგენს 101,7-ს, მაგრამ მრეწველობის ცალკეულ დარგებში შებრუნებული სურათია.

მოგების გეგმები ვერ შეასრულეს და სახელმწიფოს მნიშვნელოვანი თანხები დაკარგეს „საქცხმეთერსეთის“, „ჭიათურმარგანეცის“, მანქანათმშენებლობის და სხვა სამმართველოთა საწარმოებმა.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თბილისის მაუდ-კამეოლის კომბინატში ადგილი ჰქონდა უხეშ დარღვევებსა და ბოროტმოქმედების მატყლის მიღებისა და შენახვის საქმეში.

ზოგიერთ საწარმოში კვლავ განაგრძობენ დანახარჯებისა და ზარალის გადიდებული ოდენობით დაგეგმვას, როგორც, მაგალითად, თბილისის ბამბის ძაფსართავ, ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკაში, ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანაში და სხვ.

გასულ საანგარიშო პერიოდში გამოვლინებულია უნაყოფო ხარჯებისა და პროდუქციის რეალიზაციის გარეშე დაწაყარგების ზრდის ფაქტები (თბილისის ხორცის კომბინატი, „საქკონსერვტრესტი“ და ა. შ.).

სახალხო მეურნეობის დარგების დაფინანსებაზე 1960 წლის ბიუჯეტიდან მიმართული იქნება 2.615.699 ათასი მანეთი, რაც ბიუჯეტის მთელი გასავლის 40,7 პროცენტს შეადგენს, ხოლო საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრების ჩათვლით სახალხო მეურნეობის განვითარებაზე დაიხარჯება 4.659.758 ათასი მანეთი.

მრეწველობასა და მშენებლობაზე ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1.299.314 ათასი მანეთი, სოფლის მეურნეობაზე — 326.537 ათასი მანეთი. ეს ასიგნობანი მიმართული იქნება უმთავრესად კაპიტალურ დაბანდებებსა და საკუთარ საბრუნავ საშუალებათა მატებაზე.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯების დასაფარავად საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 3.463.774 ათასი მანეთი, ანუ მთელი გასავლის 53,9 პროცენტი, აქედან განათლებაზე 1.857.671 ათასი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვაზე— 741.160 ათასი მანეთი, ფიზიკურ კულტურაზე — 23.760 ათასი მანეთი, სოციალურ უზრუნველყოფაზე და მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისადმი ერთდროულ დახმარებებზე — 841.183 ათასი მანეთი.

მნიშვნელოვანი სახსრები გამოიყოფა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებზე, სასკოლო საქმის რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ მოხოვნილებათა გათვალისწინებით. მომავალი წლის ბიუჯეტით ზოგად განათლებაზე გათვალისწინებულია 873.195 ათასი მანეთი, ე. ი. მიმდინარე წელთან შედარებით გაზრდილია 11,3 პროცენტით.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებასთან დაკავშირებით საგრძნობლად გაიზრდება ქალაქის მუშა ახალგაზრდობისა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა რიცხვი. გათვალისწინებულია სკოლა-ინტერნატების ქსელის შემდგომი მნიშვნელოვანი გაფართოება; 1960 წლის ბოლოსათვის ყველა ინტერნატში მოსწავლეთა რიცხვი მიაღწევს 10.000-ს ნაცვლად 1959 წლის ბოლოსათვის დაგეგმილი 5.500-სა და 1958 წლის ბოლოს არსებული 3.030 მოსწავლისა.

მიმდინარე წელთან შედარებით შესამჩნევად იზრდება აგრეთვე ასიგნობანი უმაღლესი სასწავლებლების შენახვაზე იმასთან დაკავშირებით, რომ 1959 წლის ბოლოდან რესპუბლიკას გადმოეცა ისეთი უმაღლესი სასწავლებლები, როგორიც არის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც წლევანდლამდე საკავშირო დაქვემდებარებისა იყვნენ. უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადებაზე 1960 წელს 341.068 ათასი მანეთი დაიხარჯება. გარდა ამისა, პოლიტექნიკური განათლების სასწავლებლებზე გათვალისწინებულია 46.595 ათასი მანეთი. ამრიგად, კადრების მომზადებაზე 1960 წელს დაიხარჯება 387.663 ათასი მანეთი.

დიდი თანხებია გათვალისწინებული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის. საკმაო თანხებია გათვალისწინებული აგრეთვე ხელოვნებასა და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე.

1960 წელს ფართოვდება აგრეთვე მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხაზით მომავალი წლის ბოლოსათვის საავადმყოფოებში საწოლთა რიცხვი აყვანილ იქნება 27.908 საწოლამდე, აქედან სოფლად 6.865 საწოლამდე.

საგულისხმოა, რომ დაწყებული 1960 წლიდან, სოფლად ჯანდაცვის დაწესებულებებში კვების ნორმები გათანაბრებული იქნება ქალაქის სათანადო დაწესებულებათა ნორმებთან, ხოლო მედიკამენტების ნორმები გადიდებული იქნება 1959 წელთან შედარებით, რაც საგრძნობლად გაუმჯობესებს სოფლის მოსახლეობის სამკურნალო მომსახურებას.

ჯეროვანი ყურადღება მიექცევა 1960 წელს სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა არა მარტო ქსელის შენახვის ხარჯებს, არამედ აგრეთვე მათი შენობების კაპიტალურ რემონტს, კეთილმოწყობის და სათანადო სპეციალური მოწყობილობით აღჭურვას. 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა შენობა-ნაგებობათა კაპიტალურ რემონტზე გათვალისწინებულია 95.075 ათასი მანეთი, ხოლო ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად გამოყოფილია 82.097 ათასი მანეთი.

საბიუჯეტო კომისიას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ რემონტსა და ინვენტარზე გამოყოფილ ასიგნობათა ათვისება სასკოლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხაზით ზოგიერთ რაიონში ცხრა თვის მაჩვენებლების მიხედვით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ამხანაგო დეპუტატებო! საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ცალკეული სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების შუამდგომლობანი საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ხარჯების გადიდების შესახებ. საბიუჯეტო კომისიამ გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს ზოგ მათგანს. სახელდობრ კომისიას შესაძლებლად მიაჩნია გაზარდოს შემდეგი ხარჯები:

სკოლების შენობათა კაპიტალური რემონტისათვის 1.100 ათ. მან.

სკოლების სასწავლო ლაბორატორიებისა და სახელოსნოებისათვის ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად 1.900 ათ. მან.

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებისათვის ინვენტარის შესაძენად 400 ათ. მან.

იმავე დაწესებულებათა შენობების კაპიტალური რემონტისათვის 600 ათ. მან.

კომუნალური მეურნეობის ღონისძიებებისათვის 3.600 ათ. მან.

და კულტურის ძეგლების რესტავრაციისა და დაცვისათვის 500 ათ. მან.

საბიუჯეტო კომისიას მიაჩნია, რომ ეს დამატებითი ხარჯები შეიძლება დაიფაროს ბიუჯეტში გათვალისწინებული ზოგი საშემოსავლო წყაროს გაზრდით.

სათანადო მასალების შესწავლის შედეგად საბიუჯეტო კომისიამ შესაძლებლად მიიჩნია გაადიდოს ბიუჯეტის შემოსავალი 8.100 ათასი მანეთით, მათ შორის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა ზოგებიდან 6.700 ათასი მანეთით — საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის აღმასკომს შორის მსუბუქი მანქანების ფონდების გადანაწილების შედეგად 800 ათასი მანეთით და რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვადასხვა შემოსავალი 600 ათასი მანეთით.

დასახელებული ცვლილებების გათვალისწინებით საბიუჯეტო კომისიის წინადადება შემოაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა დამტკიცდეს 6.436.938 ათასი მანეთის ოდენობით.

ამხანაგო დეპუტატებო!

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწევენ ახალ ღირსშესანიშნავ წარმატებებს რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, რითაც ღირსეულ წვლილს შეიტანენ მშვიდობის განმტკიცების საერთო-საკაცობრიო საქმეში. ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის დიდი მშენებლობის საქმეში. **(ტაში).**

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო

დეპუტატ ა. მ. დავითაშვილის სიტყვა

მინდა სესიას მოვახსენო, რომ გურჯაანის რაიონი შვიდწლედის პირველ წელს კარგი მაჩვენებლებით ამთავრებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია შედეგები მევენახეობაში. მოსავლიანი ვენახების თვითეულ ჰექტარზე რაიონში საშუალოდ მიღებულია 75 ცენტნერი ყურძენი, მიუხედავად იმისა, რომ წელს ვაზისათვის ამინდის მეტად არახელსაყრელი პირობები იყო და ბევრ სოფელში ვენახები რამდენჯერმე დაისეტყვა. მოსავლიანობის გადიდებამ საშუალება მოგვცა გადაჭარბებით შეგვესრულებინა ყურძნის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა. სამტრესტის გურჯაანის ღვინის ქარხნებს პირველადი გადამუშავებისათვის ჩვენი რაიონიდან მიეყიდა 25 ათას ტონაზე მეტი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19.850 ტონისა.

წელს კარგად იმუშავეს ჩვენმა მემინდვრეებმა და მეცხოველეებმაც. რაიონში საშუალოდ ერთ ჰექტარ ნათესზე მიღებულია 18,7 ცენტნერი მარცვლეული, მათ შორის 31,4 ცენტნერი სიმინდი, ამასთან ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 490 ცენტნერი სიმინდის სასილოსე მწვანე მასა და დამზადებულია 60 ათასი ტონა საუკეთესო ხარისხის სილოსი. წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გადიდებულია პირუტყვისა და ფრინველის სულადობა და პროდუქტიულობა.

აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობების ორგანიზაციული და მატერიალური განმტკიცების საფუძველზე რაიონში ფართოდ გაჩაღდა კულტ

...ეს იყო ქარიშხლისებური შეტევა

მან უმღერა თავისუფლებას

ანტონ ფურცელაძის დაბადების 120 წლისთავის გამო

„იგი იყო რთული ბუნების ადამიანი: მედგარი მებრძოლი თავისუფლებისათვის, ბუნებით დემოკრატი-რევოლუციონერი, მამაცი, პირუთვნელი, გაბედული, ერთობ სადა, ლმობიერი, გულჩვილი, თავგანწირული ჩაგრულ მოძმეთათვის", — ასე წერდა ა. ფურცელაძეზე მისი თანამედროვე ქართველი მწერალი ს. მგალობლიშვილი. ეს სტრიქონები მოხდენილად ახასიათებს ა. ფურცელაძეს, რომელმაც ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში მეტად თავისებური ადგილი დიამკვიდრა, როგორც ტიპიურმა სამოციანელმა.

ა. ფურცელაძე, ი. ჭავჭავაძისა და 60-იანი წლების მოწინავე თაობის თანამედროვე იყო. სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე მათ თითქმის ერთდროულად მოუზდათ გამოსვლა. ა. ფურცელაძესაც ხვდა წილად მოწინავე მებრძოლი დემოკრატიული იდეების შემოტანა ქართულ მწერლობაში, მაგრამ მან ვერ შეძლო მჭიდროდ დაკავშირებოდა თერგდალეულებს და მათთან ერთად ხელიხელჩაკიდებულს ეწარმოებინა ბრძოლა სოციალურ და ეროვნულ უფლებათა წინააღმდეგ. ა. ფურცელაძემ ბრძოლის დამოუკიდებელი გზა აირჩია, განმარტოდა, რამაც ზიანი მიაყენა როგორც პირადად მას, ისე მის შემოქმედებას.

ა. ფურცელაძე დაიბადა 1839 წელს გორის რაიონის ხოფილ მერეთში. დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. 1851 წელს კი ქ. ორიოლის კადეტთა კორპუსში ჩაირიცხა, მაგრამ მხოლოდ მესამე კლასამდე მიაღწია, რადგან ფიზიკური ვარჯიშის დროს ღერძიდან ჩამოვარდა და სამუდამოდ დაკოჭლდა. სამხედრო სამსახურისათვის უკვე გამოუსადეგარი ა. ფურცელაძე 1854 წელს სამშობლოში დაბრუნდა. მალე ეურნალისტურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. მისი პოეტური და ეპიკური ნაწარმოებები, პუბლიცისტური და ისტორიული წერილები თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემაში იბეჭდებოდა. არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმე, რომ ა. ფურცელაძეს მასში მონაწილეობა არ მიეღოს და თავისი წვლილი არ შეეტანოს.

1911 წელს ა. ფურცელაძე თავს ანებებს სამსახურს და ხოფელში გადადის საცხოვრებლად. გარდაიცვალა 1913 წლის ნოემბერში. დასაფლავებულია მშობლიურ ხოფელ მერეთში.

ა. ფურცელაძე უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების მოწმე და მონაწილე იყო. „ჩემს ცხოვრებაში ორ საინტერესო მომენტს მოვესწარ, — წერდა იგი, — ერთი იყო ბატონყმობის უღლიდან გლეხების განთავისუფლება, ხოლო მეორე 1905 წლის რევოლუცია".

ბატონყმობის წინააღმდეგ ხაბრძოლველად ა. ფურცელაძე ჯერ კიდევ მაშინ გამოვიდა, როცა ბატონყმობა, როგორც ინსტიტუტი, ხელშეუხებელი იყო და ეს ბრძოლა მას არც შემდეგ შეუნელებია.

ა. ფურცელაძის მოთხრობებში („მართა", „ქეტესა", „თოთა" და სხვ.) სინამდვილის ღრმა ცოდნითა და უშუალობით არის გადმოცემული ქართველი გლეხობის არაადამიანური ცხოვრების სურათები როგორც ბატონყმობის გადავარდნამდე, ისე მის შემდეგ — კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების პირობებში. თუმცა ენობრივი და მხატვრული სტილის თვალსაზრისით ა. ფურცელაძის მოთხრობები საგრძნობლად მოისუსტებენ, მაგრამ მათი უდიდესი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ სიუჟეტი საკმაოდ დაძაბულად და საინტერესოდ ვითარდება და ყოველთვის აქტუალურ საკითხებს ეხება.

ა. ფურცელაძის ნაწარმოებებიდან ყველაზე მეტი პოპულარობა მოიპოვა მოთხრობამ „მაცი ხვიტია", რომელშიც საკმაო დამაჯერებლობით არის წარმოდგენილი ფეოდალური სამეგრელოს ცხოვრების შავბნელი სურათები: გლეხობის ეკონომიური გაღატაკება, თავადაზნაურობას შორის არსებული შუღლი, მტრობა და „ძმათა სისხლის ღვრა", რამაც საქართველოს ეს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე თითქმის სრულ გაპარტახებამდე მიიყვანა.

ევროპის უტოპიური სოციალიზმისა და რუსული ნაროდნიკული მსოფლმხედველობის ძლიერი გავლენის შედეგად, 70-იან წლებში ა. ფურცელაძემ გადაუხვია განმანათლებელთა პოზიციებიდან და წამოაყენა საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლის უტოპისტური პროექტები. ა. ფურცელაძის საზოგადოებრივი იდეალი სოციალისტური საზოგადოება იყო, სადაც ადგილი არ ექნებოდა წოდებრივ უთანასწორობას, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას და ეკონომიურ უთანასწორობას. 80-იან წლებში ა. ფურცელაძე გაეცნო მარქსის მოძღვრებას. ამის შემდეგ მისთვის თანდათანობით უფრო ნათელი გახდა პროლეტარიატის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში; პროლეტარიატის დასახმარებლად ა. ფურცელაძემ რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა, მაგრამ ვერ მოახერხა ამაღლებულიყო პროლეტარიატის როლის მარქსისტულ გაგებამდე.

ა. ფურცელაძემ მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში პირველმა დააყენა ქალთა თანასწორობის საკითხი და რადიკალურ-პროგრესული თვალსაზრისით გადაწყვიტა იგი. მან მნიშვნელოვანი შრომა გასწია აგრეთვე ქართველი ხალხის სხვა ხალხებთან დაახლოების საქმეში და სასტიკად გაილაშქრა შოვინისმისა და მისი ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. ეროვნული გრძნობით გამსჭვალული მწერალი თანაუგრძნობდა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მგრის გარიბალდის და ოცნებობდა, რომ მის სამშობლოშიც დაბადებულიყო ასეთი გმირი. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ა. ფურცელაძემ თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ძლიერი და გამოჩენილი ადამიანის პრობლემას. მან განსაკუთრებული სიყვარულით დახატა გიორგი საკაძის პიროვნება, რომელიც მგზნებარე პატრიოტისა, რომელიც თავდადებით იბრძოდა ფეოდალური პარტიკულარიზმის წინააღმდეგ. იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის.

ა. ფურცელაძის მიერ განვლილი ცხოვრების გზა და მისი მრავალმხრივი შემოქმედება ნათელი მაჩვენებელია ჭეშმარიტი მამულიშვილის შეუპოვარი ბრძოლისა თავისი ხალხის უკეთესი მომავლისათვის და სწორედ ამით დაიკავდრა მან ერთ-ერთი საპატიო ადგილი მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა გვერდით.

დოც. ი. გოცვაძე.

ანტონ ფურცელაძის

ჩვენი სტუმრები

ოთხ დღეს იყო სტუმრად საქართველოში ბრიტანეთის მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი ასოციაციის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ პალეონტოლოგიის დოქტორი, დიდი ბრიტანეთის მუზეუმების ასოციაციის დირექტორი ვილიამს სვინტონი, „დიდი ბრიტანეთ-სსრ კავშირის" ასოციაციის წევრი, მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი ასოციაციის გენერალური მდივანი, მედიცინის პროფესორი ჯორჯ ალენი, დიდი ბრიტანეთის მუსიკალურ საზოგადოებათა ეროვნული ფედერაციის საპატიო ხაზინადარი ლესლი ბიკელი.

ინგლისელ სტუმრებს აინტერესებდათ ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარება, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა. საზოგადოების მუშაობა სტუმრებს გააცნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ლ. დავითაშვილმა, პროფესორებმა დ. ლორთქიფანიძემ, დ. ენუქიძემ, ა. ცაგარელმა, გ. ჩხიკვაძემ, დოცენტმა გ. გაჩეჩილაძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კომპოზიტორმა მ. ჩირინაშვილმა და სხვებმა.

დელეგაციის წევრები იყვნენ თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, ნახეს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლები „დაისი" და „ოტელო", დათვალიერეს საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. პროფესორმა ვილიამს სვინტონმა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია „ჩარლზ დარვინი".

სტუმრები იყვნენ ქ. გურჯაანის სასოფლო-სამეურნეო არტელში.

დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა. (საქდესი).

მეგობრობამ ისინი ბერლინში შეკრიბა

1959 წლის 11-16 ნოემბერს ქალაქ ბერლინში გაიმართა ქიმიური მრეწველობის დარგში ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივი კომისიის სხდომა.

მუდმივი კომისიის სხდომაში მონაწილეობა მიიღეს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

მეთვალყურეებად სხდომას ესწრებოდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები.

კომისიამ განიხილა დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც უკავშირდება წარმოების შემდგომ სპეციალიზაციასა და კოოპერირებას, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო საშუშაოების განხორციელებას ქიმიურ მრეწველობაში.

კომისიის სხდომამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ეს ქალიშვილი სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტია. თ. კაბულოვა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობს, წარჩინებით ეუფლება ამ მეცნიერებას. ხურათზე: თ. კაბულოვა ფიზიკის კაბინეტში ატარებს ცდას.

ფოტო ვ. უბოფენკოსი.

...ეს იყო ქარიშხლისებური შეტევა

თბილისი—პარიზი

◎ საქართველოს ახალი ანსამბლი — „თერთმეტკაცა" ◎ ა. ლოლობერიძე — „ჯადოქარი". ◎ პარიზის გაზეთების ფურცლებიდან. ◎ „დინამო" თუ „რეიმსი".

სპორტული ალმანახი

როგორც ვიუწყებოდით, გვაცნობა პარიზიდან საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა ბ. სიხარულიძემ, „რესინგ თ ა ნ" თბილისის დინამოელთა მატჩი უნდა გამართულიყო „კოლობის" საფეხბურთო მოედანზე, მაგრამ მოგვიანებით გამოირკვა, რომ იგი შედგებოდა „პარკ დე-პრენსის" სტადიონზე, რომელიც 50.000 მაყურებელს იტევს.

მატჩის სანახავად პარიზში ჩამოვიდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან. ერთ-ერთ ლოჟაში იყვნენ რეიმსელები „სტად დე რეიმსის" კლუბის ფეხბურთელები, რომელთაგან შვიდი საფრანგეთის ნაკრებში შედის. მათ შორის იყვნენ მსოფლიო ჩემპიონატის შვეიცის ბრძოლის გმირები ჟიუსტ ფონტენი, რაიმონდ კოპა და სხვ.

ანგარიშის (6:2) მიხედვით იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ჩვენ არც თუ ისე ძლიერ მოწინააღმდეგესთან გვქონდა საქმე. მე ვიტყოდი — პირიქით, უფრო ძლიერთან, ვიდრე მოველოდით. „რესინგი" ისეთი როდი იყო, როგორიც თბილისში ვიხილეთ. იგი გაძლიერებული აღმოჩნდა სხვადასხვა კლუბის წამყვანი მოთამაშეებით. ფრანგი ფეხბურთელების, კერძოდ მცველების სახასელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ნაწილობრივ შეძლეს დინამოელთა ხუთეული ქარიშხლის შენელება, განუწყვეტელი შტურმის ნეიტრალიზება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ სხვა ანგარიშზე გვექნებოდა საუბარი.

როდესაც ამ თამაშზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ ვახსენოთ საფეხბურთო მოედნის ვეტერანი, გუნდის კაპიტანი და სიამაყე ა. ლოლობერიძე. ეს მარტო ჩემი აზრი როდია. მას პარიზელებმა „ჯადოქარი" შეარქვეს. დიახ, იგი ნამდვილად სასწაულებს ახდენდა მოედანზე, გასაოცარი ვირტუოზობით ხიბლავდა მაყურებელს, იგი გუნდის მაჯისცემა, სული და გული იყო.

იამანიძის რეიდებმა პარიზშიც გაოცა სახელი, მეკარე კოტრიკაძის ნახტომებმა ათეულ ათასობით მაყურებელი ფეხზე აიყენა, ჩოხელი კლდეთ იყო აღმართული კართან, ხოლო მეხხის თავბრუდამსვევმა ფინტებმა დინჯი, თავშეკავებული სპორტული კომენტატორებიც კი აღაფრთოვანა.

პარიზი მოხიბლული იყო „ჩვენი თერთმეტკაცას" შესანიშნავი ანსამბლით, რიტმული და ტემპიანი თამაშით, საბჭოთა ფეხბურთელების ბრწყინვალე ტექნიკით.

ამჯერად დინამოელებს ვერ დავემდურებით, მაგრამ ამით ხომ არ დამთავრებულა საფრანგეთში ჩვენი ტურნე? წინ არის მეტად პასუხსაგები მატჩები, მძაფრი და შეუთავარი ბრძოლები.

ვფიქრობ, „დინამოს" შემადგენლობაში მომავალ მატჩებშიც არსებითი ცვლილებანი არ მოხდება. გუნდი, ალბათ, „რეიმსის" წინააღმდეგ კვლავ გამოვა კოტრიკაძის, კესარეთის, თორაძის, ჩოხელის, ზეინკლიშვილის, ცარევის, შაპოვალოვის, იამანიძის, კალოევის, ლოლობერიძის და მესხის შემადგენლობით.

პარიზის დილის გაზეთები აჭრელებული იყო მატჩის მომლტტების ამსახველი და თბილისის დინამოელთა ფოტოსურათებით, სპორტული კომენტატორების ვრცელი რეცენზიებით. თურას წერდნენ დილის გაზეთები თბილისის „დინამოსა" და „რესინგის" მატჩის შესახებ, ამ საკითხზე დაგაკავშირებთ იუნესკუს საბჭოთა წარმომადგენლობასთან, ამხ. ბ. მელაძესთან.

ტელეფონთან მოდის გ. მელაძე, იგი გვიამბობს:

უპირველეს ყოვლისა, რაც ამ დღის გაზეთებში თვალში გვხვდება, არის თბილისის დინამოელთა კოლექტიური, ტემპიანი და შეწყობილი თამაშის აღიარება. „ლუმანიტეს", „ლიბერასიონი", „ფიგარო", „ოროორი" და სპორტული გაზეთი „ეკიპი" ქართველ ფეხბურთელებზე წერენ: „ჩვენ ვნახეთ ქარიშხლისებური შეტევა", „ეს იყო უმაღლესი ტექნიკის, ფანტასტური, სამხრეთული, ტემპერამენტიანი თამაში, რომელიც ქართულ ვოკაცურ ცეკვას მოგვაგონებს". „დინამოელებს აქვთ თამაშის თავიანთი სტილი, იგი სხვას როდი ჰგავს", „ფრანგები მოხიბლეს გუნდის კაპიტანმა ლოლობერიძემ, შესანიშნავმა ფორვარდმა იამანიძემ", „კალოევი მთავარი ბომბდამშენია, მესხი —ვირტუოზი სნაიპერი, მეკარე კოტრიკაძე — მფრინავი".

გაზეთებს სათაურებად გამოტანილი აქვთ: „თბილისელებმა მოხიბლეს პარიზი ტექნიკით, სიხალისით, ტემპით"; „ქართველმა ფეხბურთელებმა სასტიკად დაამარცხეს „რესინგი"; „ლოლობერიძის და იამანიძის უმაღლესი ტექნიკა" და სხვ.

საერთოდ საფრანგეთის პრესამ მაღალი შეფასება მისცა დინამოელთა თამაშს, მათ ტექნიკას, გააზრებულ და ტექნიკურად სრულყოფილ კომბინაციებს, მოქნილ ტაქტიკას, ფეხბურთელთა ბრძოლისუნარიანობას.

• • •

26 ნოემბერს თბილისის დინამოელებმა დათვალიერეს საფრანგეთის დედაქალაქი. მისი ღირსშესანიშნავი ადგილები, სპორტული ნაგებობანი. დღეს, 27 ნოემბერს საღამოს თბილისელები ქ. რეიმსში გაემგზავრებიან, სადაც 1 დეკემბერს შეხვდებიან საფრანგეთის ფეხბურთის მემატიანე გუნდს „რეიმსს". მატჩი დაიწყება თბილისის დროით 11 საათზე.

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

ლიეპაია. 26 ნოემბერი. (სპეც. კორ.). დღეს აქ შედგა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მორიგი ტური.

ე. კაკაბაძემ ძლიერად ჩაატარა პარტია ზ. ნახიმოვსკაიასთან და გაიმარჯვა. ნ. გაფრინდაშვილმა აშკარად მოსაგებ მდგომარეობაში უნდა შეეცდომა დაუშვა ა. რუბინჩიკთან და დამარცხდა. ა. კუშნირმა მოუგო ს. როზტარეს.

მ ტოგოხიძე — ნ. კოლტის, ტ. ზატულოვსკაია — ჟ. სკეგინას, ნ. ვოიცეკ — ვ. ტახომიროვას, ლ. ვოლპერტ — თ. დმტრიევას და ო. რუბცოვა — ა. ვიტკოვსკაიის პარტიებში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ლ. იაკირ — ო. სემიონოვას პარტია გადადებულია.

27 ნოემბერს შედგება გადადებული პარტიების დამთავრება.

ერევნის ნახევარფინალი

ერევანი. 26 ნოემბერი. (სპეც. კორ.). ერევნის ნახევარფინალურ ჯგუფში დღეს გათამაშდა მერვე ტური.

8 შეხვედრიდან მხოლოდ 3 პარტია დამთავრდა. ოსტატმა ა. ბუსლაევმა კარგად ჩაატარა ბრძოლა ა. ყარაჯაევთან და 31-ე სვლაზე გაიმარჯვა. გროსმაისტერმა ი. ავერბახმა დაიშამთა მოწინააღმდეგის — ს. ჰალლბეილის მეფე. ა. გელერ — ი. კლოვანის პარტია ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. ოსტატ ბ. გურგენიძეს გროსმაისტერ ე. გელერთან გადადებულ პარტიაში პაიკი აკლია.

8 ტურის შემდეგ **ე. გელერს** 5,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, რიგელ ოსტატ **ი. კლოვანს** — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

27 ნოემბერს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

„სპარტაკი" — სამხრეთ ამერიკაში

მონტევიდეო, 26 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ ბრაზილიის დედაქალაქ რიო-დე-ჟანეიროში „მარაკანის" სტადიონზე გაიმართა მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდის „სპარტაკის" და ბრაზილიის გუნდის „ფლამენგოს" შეხვედრა. შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 3:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

ეს საბჭოთა ფეხბურთელების პირველი შეხვედრაა სამხრეთ ამერიკაში. შემდეგი შეხვედრა გაიმართება 29 ნოემბერს ქალაქ ბელუ-ორიზონტში (ბრაზილია), „ატლეტიკო მინეიროს" ადგილობრივ გუნდთან.

ი. გ. ხუციშვილი — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა იასონ გიორგის-ძე ხუციშვილმა ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ი. გ. ხუციშვილისათვის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

1959 წლის 30 ნოემბერს, დილის 11 საათზე საქ. პროფსაბჭოს სხდომის დარბაზში (ვრცელი ფიცის ქ. № 19) მოწვეულია პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს VI-პლენუმი

საქართველოს პროფსაბჭოს
პრეზიდიუმი

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

საგლეხოფოლოგია

ა. მიქოიანი მექსიკაში

პოსა-რიკა, 25 ნოემბერი. (საქდესის კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი ამთავრებს თავის მოგზაურობას მექსიკაში. უკანასკნელ ორ დღეს იგი ეწვია ქალაქებს მონტერეის, სიუდადადალუხს და გუშინ საღამოს ჩამოვიდა ქალაქ პოსა-რიკაში.

მონტერეიში საბჭოთა სტუმრები იყვნენ მეტალურგიულ ქარხანაში, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია მექსიკაში, დაათვალიერეს ქარხნის საბრძმედე, საგლინავი, მილსაგლინავი, მოტორისა და სხვა საამქროები, ესაუბრნენ მუშებს, ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლებს. ა. ი. მიქოიანმა დაწვრილებით უპასუხა ყველა კითხვაზე და თავის მხრივ ეკითხებოდა მუშებს, მათი ცხოვრებისა და შრომის შესახებ. მუშების თხოვნით ა. ი. მიქოიანმა სურათი გადაიღო მათთან ერთად. შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შეიარა ადგილობრივ სკოლაში, რომელშიც მუშათა ბავშვები სწავლობენ. მოსწავლეები ირთსულოვნად მიესალმნენ სტუმარს.

ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები იყვნენ აგრეთვე ნაგლინისა და ფურცლოვანი რკინის ქარხანაში და ნაშუადღეს ჩავიდნენ ეხიდოში (მექსიკის სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივ ვ ი). გლეხები გულთბილად მიესალმნენ ჩამოსულთ, მიიწვიეს ისინი კოოპერატივის მეურნეობის გასაცნობად. პატარა კონცერტის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ ეხიდოს წევრთა ბავშვები, მექსიკური ეროვნული ცეკვები რომ შეასრულეს, საბჭოთა სტუმრები კოოპერატივის ხელმძღვანელებისა და გლეხთა დიდი ჯგუფის თანხლებით მინდვრად გავიდნენ.

მასპინძლები სიამაყით ლაპარაკობდნენ თავიანთ წარმატებებზე, აცნობდნენ მომავლის გეგმებს.

ა. ი. მიქოიანმა ნახა აგრეთვე ეხიდოს წევრთა რამდენიმე სახლი, დაათვალიერა სკოლა. სტუმრის გასაცილებლად მოვიდნენ სამუშაოსაგან თავისუფალი ყველა წევრი კოოპერატივისა. ისინი გულთბილად გამოეთხოვენ სტუმრებს და სალამი შეუთვალეს საბჭოთა კოლმეურნეებს. ა. ი. მიქოიანმა გადასცა მათ მთელი საბჭოთა ხალხის სალამი.

იმავე დღეს ა. ი. მიქოიანმა ოფიციალური ვიზიტი გაუკეთა ნუევო ლეონის შტატის გუბერნატორს რაულ რანხელ ფრიასს და იყო სადილზე, რომელიც გუბერნატორმა გამართა მის პატივსაცემად.

ა. ი. მიქოიანმა უპასუხა: რა გუბერნატორმა მისასალმებელ სიტყვაზე, დიდი კმაყოფილება გამოთქვა ეხიდოს გაცნობის გამო და აღნიშნა, რომ სხვა ქვეყნებში, გარდა სოციალისტური ქვეყნებისა, მას არ უნახავს ისეთი მეურნეობა, სადაც გლეხები ერთად ამუშავებდნენ მიწას. ა. ი. მიქოიანმა ილაპარაკა საბჭოთა კავშირის მრეწველობის შესახებ, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის წარმატებებზე და დამსწრეთა ტაშის გრიალში წარმოთქვა მექსიკელი ხალხისა და მისი მომავლის, მთელი მსოფლიოს ხალხთა მეგობრობის საღეგრძელო. სადილმა განსაკუთრებით გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

23 ნოემბერს საღამოს ა. ი. მიქოიანმა დატოვა ქალაქი მონტერეი და თვითმფრინავით გაფრინდა მექსიკის ნავთობის მრეწველობის ცენტრში — ქალაქ სიუდად-პემექსში.

სიუდად-პემექსში ა. ი. მიქოიანი გაეცნო საწარმოებს, იყო ახალ ნავთობის ჭაბურღილზე, დაათვალიერა მუშათა სახლები. წასვლის წინ იგი დიდხანს ესაუბრა ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლებს, დაწვრილებით ილაპარაკა საბჭოთა პროფკავშირების საქმიანობის შესახებ, საბჭოთა ადამიანების, კერძოდ საბჭოთა მენავთობეების ცხოვრების პირობებზე. სიუდად-პემექსის მუშებმა და ინჟინრებმა იკითხეს, შეიძლება თუ არა ჩავიდნენ საბჭოთა კავშირში და კონტაქტი დამყარონ საბჭოთა მენავთობეებთან. ა. ი. მიქოიანმა სიამოვნებით აღუთქვა დახმარება ასეთი კონტაქტების დამყარებაში.

სიუდად-პემექსიდან ა. ი. მიქოიანი გაფრინდა ქალაქ პოსა-რიკაში. გზად იგი შეჩერდა ქალაქ ვილია-ერმოსაში, სადაც გაეცნო ადგილობრივ მუზეუმს — მექსიკის სიძველეთა ძეგლების საცავს.

24 ნოემბერს საღამოს ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები ჩამოვიდნენ ქალაქ პოსა-რიკაში.

ვ. კოლოკოლნიკოვი.

რაკეტა „ატლასის" ტრაგიკული ბედი

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნალის საგანგებო კორესპონდენტი იუწყება კანაველალის კონცხიდან, დღეს 2 საათსა და 26 წუთზე ადგილობრივი დროით (10 საათსა და 26 წუთზე მოსკოვის დროით) შეერთებულმა შტატებმა სცადეს რაკეტა „ატლასის" სამუალებით გაეყვანათ თანამგზავრი ორბიტზე მთვარის გარშემო 375 გირვანქა სასარგებლო ტვირთით.

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის საგანგებო იუწყება:

შეერთებულმა შტატებმა ვერ შეძლეს გაეშვათ პირველი რაკეტა მთვარის გარშემო ზედა საფეხურების გაუმართაობის გამო.

ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს წარმომადგენლმა განაცხადა, რომ რაკეტის ზედა საფეხურებს რაღაც მოუვიდათ რაკეტის დამაჩქარებელ „ატლასის" პირველი საფეხურის ფრენის დროს.

სამმართველოს ცნობით ნათქვამია, რომ რაკეტის მეორე საფეხურის რადიოტელემეტრიულმა აპარატურამ შეწყვიტა მუშაობა გაშვებიდან 70 წამის შემდეგ და რომ „უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე საფეხური არ ამოქმედდა". ვიზუალური დაკვირვება, აღნიშნულია შემდეგ ცნობაში, მოწმობს, რომ რაკეტიდან რაღაც ამოვარდა. ამის შემდეგ მაშინათვე შეწყდა ტელემეტრიული კონტაქტი რაკეტასთან, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ჩავარდა ატლანტის ოკეანეში ანაველალის კონცხის (ფლორიდის შტატი) სამხრეთ-აღმოსავლეთით.

უგუნურთა შეთქმულება

ბერლინი. 25 ნოემბერი. (საქდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ადენაუერი და დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრი ბრანდტი საიდუმლოდ შეთანხმდნენ ერთობლივ ძოქმედების შესახებ, რომლის მიზანია უმაღლეს დონეზე თათბირის ჩაშლა. ეს გამოაცხადა, როგორც დღეს გაზეთი „ხოიეს დიოჩლანდი" წერს, დასავლეთ გერმანიის მეწარმეთა ბიულეტენმა „ინფორმაციონენ აუს დერ ვირტშაფტმა", რომელიც ჰანოვერში გამოდის.

როგორ, ეს უბრალო კონფლიქტია?

პარიზი, 25 ნოემბერი. საქდესის კორესპონდენტი ვ. სისოევა იუწყება: საფრანგეთის ეროვნულ კრებაში 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა დამთავრდა მთავრობისა და დეპუტატთა დიდი ჯგუფის აშკარა კონფლიქტით. კონფლიქტის მიზეზი გახდა მთავრობის უარი აღედგინა მის მიერ გაუქმებული პენსიები ყოფილი ფრონტელებისათვის. ბევრი დეპუტატი, იმ ჯგუფების წევრებიც კი, რომლებიც მთავრობას მხარს უჭერენ, უკმაყოფილებას გამოთქვამდა ამ უარის გამო. 5 მილიარდი ფრანკი, რაც საჭიროა ყოფილი ფრონტელებისათვის, როგორც კომუნისტმა დეპუტატმა კანსმა აღნიშნა, შეადგენს ბიუჯეტის მთელი თანხის სულ ორ მეათასედ წილს და ეს შეიძლებოდა გამძიმებილიყო. კანსმა განაცხადა, რომ კომუნისტი დეპუტატები ხმას მისცემენ ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგ.

ყოფილი ფრონტელების საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის მოწონების წინააღმდეგ გამოვიდნენ აგრეთვე სოციალისტები, რადიკალები და ბევრი მემარჯვენე დეპუტატი. მარტო მთავრობის პარტიის „ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირის" წევრებმა განაცხადეს, რომ მზად არიან ხმა მისცენ ბიუჯეტის პროექტს.

საღამოს სხდომაზე, გამოვიდა რა კამათის დასასრულს, პრემიერ-მინისტრმა დებრემ განაცხადა, რომ იგი მტკიცედ მოითხოვს მთლიანად ბიუჯეტის პროექტის მოწონებას და მხედველობაში არ იღებს წინადადებებს ყოფილი ფრონტელების პენსიების აღდგენის შესახებ. ამრიგად, მთავრობამ პრაქტიკულად დასვა საკითხი ნდობის შესახებ. ახალი კონსტიტუციის თანახმად, თუ ამ განცხადების 24 საათის შემდეგ არ შეიტანეს მთავრობის გაკიცხვის რეზოლუცია, ბიუჯეტის პროექტი მოწონებულად ჩაითვლება. გაკიცხვის რეზოლუციას მხარი უნდა დაუჭიროს სულ ცოტა 56 დეპუტატმა (ესე იგი დეპუტატთა საერთო რიცხვის მეათედმა). მოელიან, რომ სოციალისტთა ჯგუფი, რომელშიც 44 დეპუტატია, რადიკალებთან ერთად შეიტანს გაკიცხვის რეზოლუციას, თუ მათ საჭირო რაოდენობით მოაგროვეს ხელმოწერა. ასეთ შემთხვევაში კენჭისყრა გაიმართება 27 ნოემბერს.

ყოველი მხრიდან

◆ კაიროში ჩავიდა საბჭოთა ექსპერტების პირველი ჯგუფი, რომლებიც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეგვიპტის რაიონის სპეციალისტებთან ერთად ხელმძღვანელობას გაუწევენ ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობას.

◆ კოპენჰაგენიდან სამშობლოში გამოფრინდა საბჭოთა კავშირის მშრომელთა დელეგაცია, რომელიც დანიაში იყო იუნესკოს პროგრამით. საბჭოთა დელეგაციის წევრები შეხვდნენ დანიის უდიდესი პროფკავშირების გამგეობათა თავმჯდომარეებსა და წევრებს. გარდა ამისა, დელეგაცია მიიღეს დანიის პროფკავშირთა გაერთიანებაში.

◆ გადაწყდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და სამეფო ნეპალის მთავრობას შორის დამყარდეს დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვლილ იქნან დიპლომატიური წარმომადგენლები ელჩების რანგით.

◆ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრივობამ აღნიშნა „კონგოს დღე". დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნულმა საბჭომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების საბჭოს მუდმივ სამდივნოს კაიროში, აგრეთვე კონგოს პროგრესულ პარტიებს — „აბაკოს" და „კონგოს ეროვნულ მოძრაობას" გა